სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

09 / ივლისი / 2026 წ.

KA011739144289726

№ **141148**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წალკის მუნიციპალიტეტის მერიას

2026 წლის 09 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარედგინა ელდარ კვიციანის (პ/ნ: 52001021516) M26008105 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია 85.21.29.061 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთისთვის ნომრის მინიჭება. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია: მუნიციპალიტეტი წალკა, ადმინისტრაციული ერთეული ქალაქი წალკა, კვარტალი 29, ნაკვეთი 061.

შეგახსენებთ, რომ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებისას სააგენტო ხელმძღვანელობს "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილი წესებით, რომლის თანახმად, ნუმერაცია იწყება დასახლების ცენტრიდან და თანმიმდევრობით გრძელდება გარეუბნების (პერიფერიების) მიმართულებით. დასახლების ცენტრიდან ქუჩის, ჩიხის, შესახვევის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტებს ენიჭებათ კენტი ციფრი, ხოლო მარცხენა მხარეს - ლუწი ციფრი.

M26008105 განცხადებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგენილ იქნა, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში აღრიცხული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთი (საკადასტრო კოდით: 85.21.29.061) მდებარეობს ქალაქ წალკაში, 25 მარტის ქუჩის მიმდებარედ, ხოლო 25 მარტის ქუჩის სახელწოდებით ქალაქ წალკაში იძებნება ორი დამოუკიდებელი გეგოგრაფიული ობიექტი (იხ. დანართი №1).

85.21.29.061 საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთზე, ასევე დანართ სიტუაციურ ნახაზზე მითითებულ ქუჩებზე მდებარე უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, ვინაიდან ორ დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ობიექტს (ქუჩას) აქვს იდენტური სახელწოდება.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემჭიდროვებულ ვადებში უზრუნველყოთ ჩვენ მიერ მომართვაში მითითებული გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდების საკითხთან დაკავშირებული შესაბამისი პროცედურების განხორციელება, რათა დანართ სიტუაციურ რუკაზე დატანილ ორ ცალკე მდგომ გეოგრაფიულ ობიექტს (ქუჩას) ჰქონდეს განსხვავებული სახელწოდებები.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია